საქართველოს მთავრობის

დადგენილება №474

2015 წლის 14 სექტემბერი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – თუშეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – თუშეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №16 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/01/2014, 300160000.10.003.017614) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.პ) საზაფხულო საძოვრებზე მწყემსებისთვის და ტურისტებისთვის ტრადიციული თავშესაფრების, აგრეთვე შინაურ ცხოველთა სადგომების მოწყობისა. ასევე აგროტურიზმის განვითარებისათვის ცხვრის საწველი ბაკის (სიგრძე – არანაკლებ 22 მ-ისა; სიგანე – არანაკლებ 7 მ-ისა; სიმაღლე – არანაკლებ 2.5 მ-ისა), ტრადიციული თუშური გუდის ყველის დამზადებისა და შენახვის საწყობის (სიგრძე – არანაკლებ 10 მ-ისა; სიგანე – არანაკლებ 8 მ-ისა; სიმაღლე – არანაკლებ 5 მ-ისა), საკარვე და საპიკნიკე ადგილისა (სიგრძე – არანაკლებ 10 მ-ისა; სიგანე – არანაკლებ 5 მ-ისა; სიმაღლე – არანაკლებ 2.5 მ-ისა) და საპირფარეშო/საშხაპის (სიგრძე – არანაკლებ 3 მ-ისა; სიგანე – არანაკლებ 1.5 მ-ისა; სიმაღლე – არანაკლებ 2.5მ-ისა) მოწყობისა;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**